**დამტკიცებულია**
ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის
კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 12 ივნისის №53 ბრძანებით

**მოდიფიცირებულია**
ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის დირექტორის

2025 წლის 20 თებერვლის N 34 ბრძანებით

# პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

# ლოკომოტივის მართვა

პროგრამის ხელმძღვანელი: ავთანდილ მარჯანიშვილი

საკონტაქტო ინფორმაცია: ელ ფოსტა: info.rtc2016@gmail.com

ტელ.: 032 2 20 54 24

თბილისი
2025 წ.

1. **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (ქართულ და ინგლისურ ენებზე)** - ლოკომოტივის მართვა, Locomotive Driving;
2. **მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულ და ინგლისურ ენებზე)** - საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ლოკომოტივის მართვაში; Secondary Vocational Qualification in Locomotive operating
3. **მიზანი** - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სარკინიგზო ინდუსტრიის საერთაშორისო და ადგილობრივი რეგულაციების შესაბამისად ლოკომოტივის მართვის სპეციალისტის მომზადება.
4. **კვალიფიკაციის დონე**

   ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო (NQF) - დონე 4

5. **კლასიფიკაციის აღწერა**

   ISCED კოდი და აღწერა: 1041 - ტრანსპორტის მომსახურებები; „შეისწავლის გემის, მატარებლის, ავტომობილის, საჰაერო ხომალდების და სხვა ფორმის ტრანსპორტის ფუნქციონირებას/ოპერირებას, ნავიგაციასა და მართვას.“

   ISCO კოდი: 8311 ორთქლმავლების მძღოლი
   ეკონომიკური საქმიანობის სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდი: 33.14.0 - ელექტრული მოწყობილობების რემონტი; 33.17.0 - სხვა სატრანსპორტო საშუალებების რემონტი და ტექნიკური მომსახურება; 49.10.0 - რკინიგზის სამგზავრო ტრანსპორტი, საქალაქთაშორისო; 49.20.0 - რკინიგზის სატვირთო ტრანსპორტი;

6. **დასაქმების შესაძლებლობები** - ლოკომოტივის მემანქანე შეიძლება დასაქმდეს მაგისტრალურ რკინიგზაზე, მეტროპოლიტენში, სამრეწველო რკინიგზებზე: ქარხანაში, შახტასა და ნებისმიერ დაწესებულებაში, სადაც ტვირთების შიდა გადაზიდვებისთვის იყენებენ რკინიგზის ლიანდაგს.
7. **დაშვების წინაპირობა**

   სრული ზოგადი განათლება;

   საბაზო განათლება - *იმ შემთხვევაში თუ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები;*

8. **სწავლის შედეგები**

*კურსდამთავრებულს შეუძლია:*

1. იმუშავოს ლითონურ და არამეტალურ მასალებთან, შეასრულოს საზეინკლო ოპერაციები;
2. უზრუნველყოს საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში სარკინიგზო ტრანსპორტზე უსაფრთხო სამუშაო გარემო;
3. წაიკითხოს ნახაზები და სქემები;
4. დაგეგმოს ლოკომოტივის მემანქანის სამუშაო პროცესი;
5. გამართოს მოძრავი შემადგენლობის მაღალი, დაბალი ძაბვისა და პნევმატური მოწყობილობების სქემები;
6. ჩაატაროს ლოკომოტივის და ძრავავაგონიანი მოძრავი შემადგენლობის ტექნიკური დათვალიერება;
7. შეასრულოს მატარებელთან ჩადგომა/გამზადება/ახსნა;
8. მართოს ლოკომოტივი და ძრავავაგონიანი შემადგენლობა;
9. შემოწმოს/ნაწილობრივ შეაკეთოს ლოკომოტივი და ძრავავაგონიანი შემადგენლობა.

## 9. სწავლის შედეგების დეტალური აღწერა

| მოდული | პროფესიული უნარები | პროფესიული ცოდნა | *საკვანძო კომპეტენციები* | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | *მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია* | *უცხო ენაზე კომუნიკაცია* | *მათემატიკური უნარ-ჩვევები და საბაზისო კომპეტენციები მეცნიერებასა და ტექნოლოგიაში* | *ციფრული კომპეტენცია* | *დამოუკიდებლად სწავლის უნარი* | *პიროვნებათაშორისი და მოქალაქეობრივი კომპეტენციები* | *მეწარმეობა* | *კულტურული გამომხატველობა* |
| ლოკომოტივის და ძრავავაგონიანი მოძრავი შემადგენლობის მემანქანის სამუშაო პროცესის ორგანიზება | • იღებს დავალებას;<br>• იღებს ლოკომოტივს;<br>• იმარაგებს/იყენებს სამუშაო იარაღებსა და ინსტრუმენტებს;<br>• ამოწმებს ლოკომოტივის ტექნიკურ გამართულობას;<br>• აწარმოებს ტექნიკური დოკუმენტაციის გაფორმებას | • იცის შრომითი დისციპლინის მოთხოვნები;<br>• იცის დავალების მიღების პროცედურა;<br>• იცის თანამდებობრივი ინსტრუქციები;<br>• იცის გაფრთხილების გაცემის ინსტრუქცია;<br>• იცის ლოკომოტივის ტექნიკური მონაცემები;<br>• იცის ლოკომოტივის კვანძები;<br>• იცის ლოკომოტივის კვანძების შესაძლო დეფექტები;<br>• იცის საბორტო ჟურნალის წარმოების წესი; | ✓ | | ✓ | | ✓ | | | |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | • იცის მასალათმცოდნეობის საფუძვლები;<br>• იცის მემანქანის  სამუშაო იარაღების და ინსტრუმენტების ფუნქციური დანიშნულება;<br>• იცის მემანქანის  სამუშაო იარაღების და ინსტრუმენტების გამოყენების წესები;<br>• იცის მემანქანის სამუშაო იარაღებისა და ინსტრუმენტების კომპლექტაცია;<br>• იცის სიჩქარმზომის დიაგრამული ლენტის დანიშნულება და დაყენების წესი;<br>• იცის სამუხრუჭო ბუნიკების დანიშნულება;<br>• იცის სამუხრუჭო ბუნიკებით ლოკომოტივის დამაგრება/გათავისუფლების წესი;<br>• იცის ლოკომოტივს მართვაზე შემოწმების წესი;<br>• იცის საკონტროლო პოსტზე, ავტომატური სალოკომოტივო სიგნალიზაციის, ავტოსდექის და რადიო კავშირის მოწყობილობათა მუშაობის პრინციპები და მათი ვარგისიანობის შემოწმების წესი;<br>• იცის სამარშრუტო ფურცლის დანიშნულება, შინაარსი და მისი შევსების წესი; | | | | | | | | |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | • იცის სიჩქარმზომის დიაგრამული ლენტის შევსების წესი;<br>• იცის საბორტო ჟურნალის ტუ - 152-ის დანიშნულება და შევსების წესი;<br>• იცის მემენქანის თანაშემწის ფორმულარის დანიშნულება და შევსების წესი. | | | | | | | | |
| სარკინიგზო ტრანსპორტზე უსაფრთხო სამუშაო გარემოს ორგანიზება | • აღმოუჩენს/უზრუნველყოფ ს პირველად სამედიცინო დახმარებას/დახმარების გაწევას;<br>• იცავს (პირად და სამუშაო ადგილის) სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმებს;<br>• იცავს შრომითი უსაფრთხოების ნორმებს;<br>• იცავს გარემოს დაცვით ნორმებს;<br>• იცავს პროფესიულ ეთიკას;<br>• უზრუნველყოფს მატარებლების მოძრაობის უსაფრთხოებას;<br>• უზრუნველყოფს საკუთარი და მასზე დაქვემდებარებული პირების სიცოცხლის უსაფრთხოების წესების დაცვას. | • იცის პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესები;<br>• იცისპირველადი სამედიცინო დახმარების კომპლექტის შემადგენლობა;<br>• იცის სამუშაო ადგილის სანიტარიულ–ჰიგიენური ნორმები;<br>• იცის პირადი სანიტარიულ–ჰიგიენური ნორმები;<br>• იცის სანიტარიულ–ჰიგიენური საშუალებები;<br>• იცის შრომის დაცვის ღონისძიებები;<br>• იცის ორგანიზაციის დადგენილი შრომითი დისციპლინის მოთხოვნები;<br>• იცის უსაფრთხოების ინსტრუქტაჟის ჩატარების წესები;<br>• იცის გარემოს დაცვითი ღონისძიებები;<br>• იცის ლოკომოტივის მემანქანის სამუშაოების შესრულებასთან დაკავშირებული საინჟინრო ეკოლოგიის მოთხოვნები; | ✓ | | ✓ | | ✓ | | | |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | • იცის პროფესიული ეთიკის ნორმები;<br>• იცის პროფესიის მოთხოვნები;<br>• იცის მატარებლების მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ძირითადი წესები;<br>• იცის სარკინიგზო ტრანსპორტის ტექნიკური ექსპლუატაციის წესები;<br>• იცის მატარებლების მოძრაობისა და სამანევრო მუშაობის ინსტრუქცია;<br>• იცის სიგნალიზაციის ინსტრუქცია;<br>• იცის სიცოცხლის უსაფრთხოების, უსაფრთხოების ტექნიკის, ელექტრო უსაფრთხოებისა და ხანძარ უსაფრთხოების წესები;<br>• იცის მატარებლების მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ძირითადი წესები;<br>• იცის შინაგანაწესი და თანამდებობრივი ინსტრუქცია. | | | | | | | | |
| მაღალი, დაბალი ძაბვისა და პნევმატიკური მოწყობილობების სქემების აღწერა | • ახდენს დაბალი ძაბვის აპარატურის და მისი შემადგენელი კვანძების, დეტალებისა და, კონსტრუქციების მუშაობის პრინციპების აღწერას;<br>• ჩამოთვლის დაბალი ძაბვის აპარატურის შემოწმება- | • იცის დაბალი ძაბვის აპარატურის და მისი შემადგენელი კვანძების, დეტალებისა და, კონსტრუქციების მუშაობის პრინციპები;<br>• იცის დაბალი ძაბვის აპარატურის შემოწმება- | ✓ | | ✓ | | ✓ | | | |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | შეკეთებისას პირადი უსაფრთხოების წესებს;<br>• განმარტავს შეკეთებული მოწყობილობების რემონტის შემდგომი გამოცდის წესს და თანმიმდევრობას;<br>• ახდენს მაღალი, დაბალი ძაბვის და პნევმატიკური სქემის შესაბამისად დაზიანების აღმოაჩენასა და აღმოფხვრას;<br>• ახდენს მაღალი და დაბალი ძაბვის აპარატურის დაზიანებული კვანძების აღმოჩენასა და შეკეთებას. | შეკეთებისას პირადი უსაფრთხოების წესები;<br>• იცის შეკეთებული მოწყობილობების რემონტის შემდგომი გამოცდის წესი და თანმიმდევრობა;<br>• იცის მაღალი, დაბალი ძაბვის და პნევმატიკური სქემის შესაბამისად დაზიანების აღმოაჩენა და აღმოფხვრა;<br>• იცის მაღალი და დაბალი ძაბვის აპარატურის დაზიანებული კვანძების აღმოჩენა და შეკეთება. | | | | | | | | |
| ლოკომოტივის და ძრავავაგონიანი მოძრავი შემადგენლობის ტექნიკური დათვალიერება | • ასრულებს სამუშაო იარაღებისა და ინსტრუმენტების ტექნიკურ დათვალიერებას;<br>• ასრულებს უსაფრთხოების სისტემების ტექნიკურ დათვალიერებას;<br>• ასრულებს სავალი ნაწილის დათვალიერებას;<br>• ასრულებს ელექტროაპარატურის და დამხმარე მანქანების დათვალიერებას;<br>• ასრულებს სამუხრუჭო და სასილე მეურნეობის დათვალიერება-შემოწმებას;<br>• ამოწმებს სასიგნალო მოწყობილობებს. | • იცის მასალათმცოდნეობის საფუძვლები;<br>• იცის მემანქანის სამუშაო იარაღების და ინსტრუმენტების ფუნქციური დანიშნულება;<br>• იცის მემანქანის სამუშაო იარაღების და ინსტრუმენტების გამოყენების წესები;<br>• იცის მემანქანის სამუშაო იარაღებისა და ინსტრუმენტების კომპლექტაცია;<br>• იცის მემანქანის სამუშაო იარაღების და ინსტრუმენტების ვარგისიანობაზე შემოწმების წესი;<br>• იცის უსაფრთხოების წესების მოთხოვნები მემანქანის სამუშაო იარაღებითა და ინსტრუმენტებით მუშაობისას;<br>• იცის მეტროლოგიის საფუძვლები;<br>• იცის ხაზვის ელემენტარული კურსი; | ✓ | | ✓ | | ✓ | | | |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | • იცის ზოგადი ცნობები რკინიგზების შესახებ;<br>• იცის საზეინკლო და ელექტროსამონტაჟო სამუშაოების წარმოების წესი;<br>• იცის უსაფრთხოების სისტემების დანიშნულება, სქემები  და მისი მუშაობის პრინციპი;<br>• იცის უსაფრთხოების სისტემების  მომსახურების ტექნიკური ნორმები,  შესაძლო უწესივრობები, მათი გამოვლენისა და აღმოფხვრის მეთოდები;<br>• იცის უსაფრთხოების სისტემების ტექნიკური დათვალიერების თანმიმდევრობა;<br>• იცის სარკინიგზო ტრანსპორტის ტექნიკური ექსპლუატაციის წესების, სიგნალიზაციის ინსტრუქციისა და მატრებლების მოძრაობისა და სამანევრო მუშაობის ინსტრუქციების შესაბამისი თავები;<br>• იცის უსაფრთხოების სისტემების/ მოწყობილობების ტექნიკური  დათვალიერების უსაფრთხოების წესები;<br>• იცის უსაფრთხოების სისტემების დამოწმების ვადები;<br>• იცის თანამდებობრივი ინსტრუქციები;<br>• იცის ლოკომოტივისა და ძრავავაგონიანი შემადგენლობის სავალი | | | | | | | | |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ნაწილების დათვალიერების უსაფრთხოების წესები;<br>• იცის ტდ-1 -ის მოთხოვნები ლოკომოტივისა და ძრავავაგონიანი შემადგენლობის სავალი ნაწილების დათვალიერებისთვის;<br>• იცის გამოყენებითი მექანიკის საფუძვლები;<br>• იცის სავალი ნაწილის სქემები, მომსახურების ტექნიკური ნორმები, შესაძლო უწესივრობები, მათი გამოვლენისა და აღმოფხვრის მეთოდები;<br>• იცის ელექტროაპარატურის და დამხმარე მანქანების დათვალიერების უსაფრთხოების წესები;<br>• იცის ტდ -1 -ის მოთხოვნები ელექტროაპარატურის და დამხმარე მანქანების დათვალიერებისას;<br>• იცის ელექტროტექნიკის საფუძვლები;<br>• იცის ელექტრულ დანადგართა მოწყობის ზოგადი წესები;<br>• იცის ელექტროაპარატურის და დამხმარე მანქანების სქემები, მომსახურების ტექნიკური ნორმები, შესაძლო უწესივრობები, მათი გამოვლენისა და აღმოფხვრის მეთოდები;<br>• იცის სამუხრუჭო და სასილე მეურნეობის დათვალიერების უსაფრთხოების წესები; | | | | | | | | |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | • იცის ტდ-1 -ის მოთხოვნები სამუხრუჭო და სასილე მეურნეობის დათვალიერებისას;<br>• იცის ინსტრუქციის მოთხოვნები სამუხრუჭო და სასილე მეურნეობის შემოწმებისას;<br>• იცის სამუხრუჭო და სასილე მეურნეობის მოწყობილობათა სქემები, მომსახურების ტექნიკური ნორმები, შესაძლო უწესივრობები, მათი გამოვლენისა და აღმოფხვრის მეთოდები;<br>• იცის სასიგნალო მოწყობილობების სახესხვაობები და მათი ფუნქციონალური დანიშნულება;<br>• იცის ტექნიკური მომსახურების ნორმები, შესაძლო უწესივრობები, მათი გამოვლენისა და აღმოფხვრის მეთოდები. | | | | | | | | |
| მატარებელთან ჩადგომა/გამზადება/ახსნა | • ასრულებს სადგურის მორიგის განკარგულებას;<br>• ემორჩილება სასიგნალო ნიშნების მოთხოვნებს;<br>• ასრულებს გადაბმას/ახსნას;<br>• ამოწმებს გადაბმის ხარისხს;<br>• აერთებს სამუხრუჭო სახელოებს;<br>• იცვლის მართვის კაბინას;<br>• ამუშავებს სამატარებლო ტექნიკურ დოკუმენტაციას. | • იცის ინსტრუქციის მოთხოვნები სადგურის მორიგის განკარგულების შესრულებისას;<br>• იცის რადიოკავშირით სარგებლობის რეგლამენტის ნუსხის მოთხოვნები;<br>• იცის სარკინიგზო ტრანსპორტის ტექნიკური ექსპლუატაციის წესების, სიგნალიზაციის ინსტრუქციისა და მატარებლების მოძრაობისა და სამანევრო მუშაობის | ✓ | | ✓ | | ✓ | | | |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ინსტრუქციების შესაბამისი თავები;<br>• იცის სასიგნალო ნიშნების დანიშნულება სარკინიგზო ტრანსპორტის სიგნალიზაციის ინსტრუქციის მოთხოვნების შესაბამისად;<br>• იცის სასიგნალო ნიშნების ჩვენებები სარკინიგზო ტრანსპორტის სიგნალიზაციის ინსტრუქციის  მოთხოვნების შესაბამისად;<br>• იცის ზოგადი ცნობები რკინიგზების შესახებ;<br>• იცის სამგზავრო მატარებელზე გადაბმულობის შემოწმების ინსტრუქციის მოთხოვნები;<br>• იცის სატვირთო  მატარებელზე გადაბმულობის შემოწმების ინსტრუქციის მოთხოვნები;<br>• იცის სატვირთო და სამგზავრო მატარებლების ფორმირების სქემები,  ტექნიკური ნორმები, შესაძლო უწესივრობები, მათი გამოვლენისა და აღმოფხვრის მეთოდები;<br>• იცის საჰაერო სახელოების შეერთების ტექნოლოგიური თანმიმდევრობის წესი;<br>• იცის ავტოგადასაბმელების ცენტრის ღერძებს შორის სხვაობის ვიზუალური დათვალიერებით  შემოწმების ინსტრუქცია;<br>• იცის სამუხრუჭო სახელოების მომსახურების ტექნიკური ნორმები,  შესაძლო უწესივრობები; | | | | | | | | |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | • იცის მემანქანის კაბინის აღჭურვილობა-მოწყობილობათა განლაგება, სქემები, მომსახურების ტექნიკური ნორმები,  შესაძლო უწესივრობები, მათი გამოვლენისა და აღმოფხვრის მეთოდები;<br>• იცის მემანქანის კაბინის შეცვლის ინსტრუქციის მოთხოვნები მოწყობილობების გათიშვისას არამუშა კაბინაში;<br>• იცის მემანქანის კაბინის შეცვლის ინსტრუქციის მოთხოვნები მოწყობილობების ჩართვისას  მუშა კაბინაში;<br>• იცის მასალათმცოდნეობის საფუძვლები;<br>• იცის მეტროლოგიის საფუძვლები;<br>• იცის ხაზვის ელემენტარული კურსი;<br>• იცის ელექტროტექნიკის საფუძვლები;<br>• იცის ელექტრულ დანადგართა მოწყობის ზოგადი წესები;<br>• იცის ტექნიკური დოკუმენტაციის მიღება-გადამოწმების  წესი;<br>• იცის სამატარებლო ფურცლის დანიშნულება და შინაარსი;<br>• იცის სამარშრუტო ფურცლის დანიშნულება, შინაარსი და შევსების წესი;<br>• იცის მუხრუჭების ცნობის ვუ-45 დანიშნულება, შინაარსი და გადამოწმების წესი. | | | | | | | | |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტივისა და ძრავავაგონიანი შემადგენლობის მართვა | • ემორჩილება სასიგნალო ნიშნების მოთხოვნებს;<br>• იცავს რეგლამენტს;<br>• მოჰყავს მატარებელი მოძრაობაში;<br>• მსვლელობისას აკონტროლებს ლოკომოტივის გამართულ მუშაობას;<br>• წარმოქმნილი გაუმართავობის შემთხვევაში იღებს გადაწყვეტილებას;<br>• მოქმედებს არასტანდარტული სიტუაციის წარმოქმნის შემთხვევაში;<br>• აბარებს ლოკომოტივს. | • იცის მეტროლოგიის საფუძვლები;<br>• იცის ხაზვის ელემენტარული კურსი;<br>• იცის ზოგადი ცნობები რკინიგზების შესახებ;<br>• იცის ელექტროტექნიკის საფუძვლები;<br>• იცის სარკინიგზო ტრანსპორტის სიგნალიზაციის ინსტრუქციისა და მატარებლების მოძრაობისა და სამანევრო მუშაობის ინსტრუქციების შესაბამისი თავები;<br>• იცის რეგლამენტის მოთხოვნები სალოკომოტივო ბრიგადის წევრებს შორის;<br>• იცის რეგლამენტის მოთხოვნები სალოკომოტივო ბრიგადასა და სადგურის მორიგეს შორის;<br>• იცის რეგლამენტის მოთხოვნები სალოკომოტივო ბრიგადებს შორის;<br>• იცის რეგლამენტის მოთხოვნები დისპეჩერული ცენტრალიზაციის არსებობის დროს, უბნის დისპეჩერსა და სალოკომოტივო ბრიგადას შორის;<br>• იცის რეგლამენტის მოთხოვნები შემხვედრი მატარებლების სალოკომოტივო ბრიგადებს შორის;<br>• იცის ლოკომოტივის მუხრუჭების მუშაობის ტექნიკური პირობები და წესები; | ✓ | | ✓ | | ✓ | | | |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | • იცის მოძრავი შემადგენლობის მუხრუჭთა ექსპლოატაციის ინსტრუქცია;<br>• იცის მოძრავი შემადგენლობის მოძრაობაში მოყვანის წესები;<br>• იცის მუხრუჭების ეფექტზე შემოწმების წესი;<br>• იცის დაწესებული სიჩქარეები;<br>• იცის ხელსაწყოების ჩვენებების კონტროლის წესი;<br>• იცის სიმძლავრის რაციონალური გამოყენების წესი;<br>• იცის ლიანდაგისა  და საკონტაქტო ქსელის მდგომარეობის კონტროლის წესი;<br>• იცის მატარებლისა და მისი სამუხრუჭო მაგისტრალის მთლიანობის კონტროლის წესი;<br>• იცის მატარებლის კვანძებისა და  მოწყობილობათა სქემები, მომსახურების ტექნიკური ნორმები,  შესაძლო უწესივრობები, მათი გამოვლენისა და აღმოფხვრის მეთოდები;<br>• იცის მასალათმცოდნეობის საფუძვლები;<br>• იცის გამოყენებითი მექანიკის საფუძვლები;<br>• იცის ელექტრულ დანადგართა მოწყობის ზოგადი წესები;<br>• იცის ლოკომოტივისა და ძრავავაგონიანი შემადგენლობის კვანძებისა და მოწყობილობა- | | | | | | | | |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | აღჭურვილობათა სქემები, მომსახურების ტექნიკური ნორმები,  შესაძლო უწესივრობები, მათი გამოვლენისა და აღმოფხვრის მეთოდები;<br>• იცის სალოკომოტივო დეპოსა ან მოსაბრუნებელ პუნქტში შესვლის შემდეგ ლოკომოტივის ტექნიკური დათვალიერების ტდ-1 მოთხოვნები;<br>• იცის ტექნიკური დათვალიერება 1-ის შედეგად აღმოჩენილი შენიშვნების შეტანის წესი ლოკომოტივის საბორტე ჟურნალში ტუ-152;<br>• იცის უსაფრთხოების წესების მოთხოვნები ლოკომოტივის დამაგრებისა და კარის დაკეტვისას;<br>• იცის თანამდებობრივი ინსტრუქციები;<br>• იცის ლოკომოტივისა და ძრავავაგონიანი შემადგენლობების მოწყობილობათა პრინციპული სქემები, მომსახურების ტექნიკური ნორმები,  შესაძლო უწესივრობები, მათი გამოვლენისა და აღმოფხვრის მეთოდები. | | | | | | | | |

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თბომავლის ტექნიკური მდგომარეობის შემოწმება | • აღწერს თბომავლის დიზელის ძრავის და ჰიდრომექანიკური რედუქტორის შემოწმებისას პირადი უსაფრთხოების წესებს;<br>• აღწერს თბომავლის დიზელის ძრავის და ჰიდრომექანიკური რედუქტორის დანიშნულებას და მუშაობის პრინციპს;<br>• ჩამოთვლის თბომავლის დიზელის ძრავის და ჰიდრომექანიკური რედუქტორის შემადგენელ კვანძებისა და დეტალებს;<br>• განმარტავს თბომავლის მექანიკური ნაწილის შემოწმების ტექნოლოგიას;<br>• ჩამოთვლის თბომავლის დიზელ-გენერატორის ძირითადი კვანძებისა და დეტალების დანიშნულებისა და მუშაობის პრინციპებს;<br>• ჩამოთვლის პნევმატიკურ–სამუხრუჭო მოწყობილობის სისტემის შემოწმებისა და შეკეთებისას პირადი უსაფრთხოების წესებს;<br>• აღწერს თბომავლის პნევმატიკურ–სამუხრუჭო სისტემის, კვანძებისა და | • იცის თბომავლის დიზელის ძრავის და ჰიდრომექანიკური რედუქტორის შემოწმებისას პირადი უსაფრთხოების წესები;<br>• იცის თბომავლის დიზელის ძრავის და ჰიდრომექანიკური რედუქტორის დანიშნულება და მუშაობის პრინციპები;<br>• იცის თბომავლის დიზელის ძრავის და ჰიდრომექანიკური რედუქტორის შემადგენელი კვანძები და დეტალები;<br>• იცის თბომავლის მექანიკური ნაწილის შემოწმების ტექნოლოგია;<br>• იცის თბომავლის დიზელ-გენერატორის ძირითადი კვანძებისა და დეტალების დანიშნულება და მუშაობის პრინციპები;<br>• იცის თბომავლის პნევმატიკურ–სამუხრუჭო სისტემის, კვანძებისა და დეტალების დანიშნულება და მუშაობის პრინციპები;<br>• იცის პნევმატიკური სქემის წაკითხვა;<br>• იცის თბომავლის სახურავზე განთავსებული მოწყობილობების დანიშნულება, კონსტრუქციები და მუშაობის პრინციპები; | ✓ | | ✓ | | ✓ | | | |

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დეტალების დანიშნულებას და მუშაობის პრინციპებს;<br>• კითხულობს პნევმატიკურ სქემას;<br>• ჩამოთვლის თბომავლის სახურავზე განთავსებული მოწყობილობების დანიშნულებას, კონსტრუქციებსა და მუშაობის პრინციპებს;<br>• აღწერს თბომავალზე გაგრილების სისტემას;<br>• აღწერს წევის ძრავისა და დამხმარე მანქანების დანიშნულებას და მუშაობის პრინციპებს;<br>• აღწერს მემანქანის კაბინაში განლაგებული მოწყობილობების დანიშნულებას და მუშაობის პრინციპს. | • იცის თბომავალზე გაგრილების სისტემა;<br>• იცის წევის ძრავისა და დამხმარე მანქანების დანიშნულება და მუშაობის პრინციპები;<br>• იცის მემანქანის კაბინაში განლაგებული მოწყობილობების დანიშნულება და მუშაობის პრინციპები;<br>• იცის თბომავალზე გაგრილების სისტემის ფუნქციონირების ძირითადი წესები;<br>• იცის წევის ძრავისა და დამხმარე მანქანების დანიშნულება და მუშაობის პრინციპები;<br>• იცის მემანქანის კაბინაში განლაგებული მოწყობილობების დანიშნულება და მუშაობის პრინციპები. | | | | | | | | | |

| სასწავლო გარემოში სწავლისთვის | კრედიტი | სამუშაო გარემოში სწავლისთვის | დისტანციური სწავლების შესაძლებლობები |
|---|---|---|---|
| **ზოგადი მოდულები** | | | |
| **პიროვნული უნარები და ინტერპერსონალური კომუნიკაციები*** | 2 | | |
| უცხოური ენა | 3 | | დისტანციური |
| მეწარმეობა | 4 | | |
| **რაოდენობრივი წიგნიერება*** | 2 | | დისტანციური |
| **ინფორმაციული წიგნიერება*** | 2 | | დისტანციური |
| **პროფესიული მოდულები** | | | |
| **ბლოკი 1** | | | |
| საინჟინრო ხაზვა | 5 | | |
| მეტროლოგია | 3 | | |
| გაცნობითი პრაქტიკა - სარკინიგზო ინდუსტრიაში | 1 | | |
| რკინიგზის ზოგადი კურსი | 4 | | დისტანციური |
| ზოგადი ელექტროტექნიკა | 3 | | |
| საზეინკლო ოპერაციების შესრულება | 2 | | |
| მასალათმცოდნეობის საფუძვლები | 3 | | |
| **ბლოკი 2** | | | |

| | | | |
|---|---|---|---|
| სარკინიგზო ტრანსპორტზე უსაფრთხო სამუშაო გარემოს ორგანიზება | 7 | | დისტანციური |
| ლოკომოტივის და ძრავავაგონიანი მოძრავი შემადგენლობის მემანქანის სამუშაო პროცესის ორგანიზება | 3 | | |
| მაღალი, დაბალი ძაბვისა და პნევმატიკური მოწყობილობების სქემების აღწერა | 4 | ✓ | |
| ლოკომოტივის და ძრავავაგონიანი მოძრავი შემადგენლობის ტექნიკური დათვალიერება | 3 | ✓ | |
| მატარებელთან ჩადგომა/გამზადება/ახსნა | 4 | | |
| ლოკომოტივისა და ძრავავაგონიანი შემადგენლობის მართვა | 28 | | |
| თბომავლის ტექნიკური მდგომარეობის შემოწმება | 7 | ✓ | |
| **სულ კრედიტები** | **90** | | |

## 10. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს 5 ზოგად მოდულს ჯამური 13 კრედიტის მოცულობით და 14 პროფესიულ მოდულს ჯამური 77 კრედიტის მოცულობით. ლოკომოტივის მართვაში საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად საჭიროა ჯამურად 90 კრედიტის დაგროვება.

მოდულების, ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ ბრძანების 24 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით.

- პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის- 90 კრედიტი;
- პროგრამის ხანგრძლივობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის- 16 თვე [1]
- პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის- 120 კრედიტი;
- პროგრამის ხანგრძლივობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის- 21 თვე

| ქართული ენის მოდულები | |
|---|---|
| **მოდულის დასახელება** | **კრედ.** |
| ქართული ენა A2 | **15** |
| ქართული ენა B1 | **15** |
| **სულ:** | **30** |

[1] პროგრამის ხანგრძლივობა განისაზღვრება სასწავლო გეგმაში მოცემული კვირების მიხედვით, რომელშიც შედის როგორც სასწავლო, ისე დასვენებისთვის განკუთვნილი დრო. თითოეული სასწავლო ჯგუფის სწავლის დაწყების და დასრულების თარიღი დგინდება კალენდარული გრაფიკის მიხედვით, რომელშიც გათვალისწინებულია წლიურად 2 კვირა საშობაო, 1 კვირა სააღდგომო, 4 კვირა საზაფხულო არდადეგებისთვის, შუალედური და საკვალიფიკაციო გამოცდებისთვის დრო და არსებული კანონმდებლობით განსაზღვრული უქმეები. აღნიშნულიდან გამომდინარე, პროგრამის ხანგრძლივობა თვეებში განსხვავებულია სასწავლო კვირებისგან.

| ზოგადი მოდულები | | |
|---|---|---|
| № | მოდულის დასახელება | კრედიტი |
| 1. | პიროვნული უნარები და ინტერპერსონალური კომუნიკაციები | 2 |
| 2. | უცხოური ენა | 3 |
| 3. | მეწარმეობა | 4 |
| 4. | რაოდენობრივი წიგნიერება | 2 |
| 5. | ინფორმაციული წიგნიერება | 2 |
| სულ: | | 13 |

| პროფესიული მოდულები (ბლოკი1) | | |
|---|---|---|
| № | მოდულის დასახელება | კრედიტი |
| 6. | საინჟინრო ხაზვა | 5 |
| 7. | მეტროლოგია | 3 |
| 8. | გაცნობითი პრაქტიკა - სარკინიგზო ინდუსტრიაში | 1 |
| 9. | რკინიგზის ზოგადი კურსი | 4 |
| 10. | ზოგადი ელექტროტექნიკა | 3 |
| 11. | საზეინკლო ოპერაციების შესრულება | 2 |
| 12. | მასალათმცოდნეობის საფუძვლები | 3 |
| სულ: | | 21 |

| პროფესიული მოდულები (ბლოკი2) | | |
|---|---|---|
| № | მოდულის დასახელება | კრედიტი |
| 13. | სარკინიგზო ტრანსპორტზე უსაფრთხო სამუშაო გარემოს ორგანიზება | 7 |
| 14. | ლოკომოტივის და ძრავავაგონიანი მოძრავი შემადგენლობის მემანქანის სამუშაო პროცესის ორგანიზება | 3 |
| 15. | მაღალი, დაბალი ძაბვისა და პნევმატიკური მოწყობილობების სქემების აღწერა | 4 |
| 16. | ლოკომოტივის და ძრავავაგონიანი მოძრავი შემადგენლობის ტექნიკური დათვალიერება | 3 |
| 17. | მატარებელთან ჩადგომა/გამზადება/ახსნა | 4 |
| 18. | ლოკომოტივისა და ძრავავაგონიანი შემადგენლობის მართვა | 28 |
| 19. | თბომავლის ტექნიკური მდგომარეობის შემოწმება | 7 |
| სულ: | | **56** |

**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ინტეგრირებული მოდულებით:**

ინტეგრირებული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 2 ზოგად მოდულს 6 კრედიტის ოდენობით, 6 ინტეგრირებულ მოდულს 30 კრედიტის ოდენობით და 14 პროფესიულ მოდულს ჯამური 77 კრედიტის მოცულობით. კვალიფიკაციის მინიჭებისათვის პირმა უნდა დააგროვოს არანაკლებ 113 კრედიტი.

მოდულების, ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ ბრძანების 24 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით.

- ინტეგრირებული პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 113 კრედიტი;
- ინტეგრირებული პროგრამის ხანგრძლივობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 21 თვე
- ინტეგრირებული პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 143 კრედიტი;
- ინტეგრირებული პროგრამის ხანგრძლივობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 26 თვე

| ქართული ენის მოდულები | | |
|---|---|---|
| მოდულის დასახელება | | კრედიტი |
| 01 | ქართული ენა A2 | 15 |
| 02 | ქართული ენა B1 | 15 |
| სულ: | | 30 |
| ინტეგრირებული მოდულები | | |
| მოდულის დასახელება | | კრედიტი |
| 1. | კომუნიკაცია ქართულ ენაზე | 8 |
| 2. | მათემატიკური წიგნიერება | 7 |
| 3. | მეცნიერება და ტექნოლოგიები | 6 |
| 4. | მოქალაქეობა | 6 |
| 5. | სპორტი | 2 |
| 6. | ესთეტიკა | 1 |
| სულ: | | 30 |
| ზოგადი მოდულები | | |
| მოდულის დასახელება | | კრედიტი |
| 7. | უცხოური ენა | 2 |
| 8. | მეწარმეობა | 4 |
| სულ: | | 6 |

| პროფესიული მოდულები (ბლოკი1) | | |
|---|---|---|
| № | მოდულის დასახელება | კრედიტი |
| 7. | საინჟინრო ხაზვა | 5 |
| 7. | მეტროლოგია | 3 |
| 20. | გაცნობითი პრაქტიკა - სარკინიგზო ინდუსტრიაში | 1 |
| 21. | რკინიგზის ზოგადი კურსი | 4 |
| 22. | ზოგადი ელექტროტექნიკა | 3 |
| 23. | საზეინკლო ოპერაციების შესრულება | 2 |
| 24. | მასალათმცოდნეობის საფუძვლები | 3 |
| **სულ:** | | **21** |

| პროფესიული მოდულები (ბლოკი2) | | |
|---|---|---|
| № | მოდულის დასახელება | კრედიტი |
| 25. | სარკინიგზო ტრანსპორტზე უსაფრთხო სამუშაო გარემოს ორგანიზება | 7 |
| 26. | ლოკომოტივის და ძრავავაგონიანი მოძრავი შემადგენლობის მემანქანის სამუშაო პროცესის ორგანიზება | 3 |
| 27. | მაღალი, დაბალი ძაბვისა და პნევმატიკური მოწყობილობების სქემების აღწერა | 4 |
| 28. | ლოკომოტივის და ძრავავაგონიანი მოძრავი შემადგენლობის ტექნიკური დათვალიერება | 3 |
| 29. | მატარებელთან ჩადგომა/გამზადება/ახსნა | 4 |
| 30. | ლოკომოტივისა და ძრავავაგონიანი შემადგენლობის მართვა | 28 |
| 31. | თბომავლის ტექნიკური მდგომარეობის შემოწმება | 7 |
| **სულ:** | | **56** |

## 11. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

პირს კრედიტი მიენიჭება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე, რომელიც შესაძლებელია:

ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით;

ბ)არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.

საგანმანათლებლო პროგრამა მოდულების, სწავლის შედეგებისა და თემატიკის კომპონენტებში ითვალისწინებს რვა საკვანძო კომპეტენციის განვითარებას *(მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია; უცხო ენაზე კომუნიკაცია; მათემატიკური კომპეტენცია; ციფრული კომპეტენცია; დამოუკიდებლად სწავლის უნარი; პიროვნებათშორისი, კულტურათაშორისი, სოციალური და მოქალაქეობრივი კომპეტენციები; მეწარმეობა და კულტურული გამომხატველობა*), რომლებიც მნიშვნელოვანია პროფესიონალი და კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდისთვის. რვა საკვანძო კომპეტენციიდან ერთ-ერთი - მშობლიური/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ძირითადი ენის განვითარების მიზნით, თითოეული პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ სწავლება-სწავლის პროცესში უნდა შეფასდეს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი, კერძოდ, მართლწერისა და მართლმეტყველების წესების დაცვა შემდეგი კომპეტენციების ფარგლების გათვალისწინებით:

**მართლმეტყველება**

- საუბრის/პრეზენტაციის დროის ლიმიტის დაცვა;
- სათანადო პროფესიული ლექსიკის გამოყენება;
- მოსაზრების ჩამოყალიბება გასაგებად, ნათლად და თანამიმდევრულად;
- ადეკვატური მაგალითებისა და არგუმენტების მოყვანა;

• ზეპირი მსჯელობისთვის დამახასიათებელი არავერბალური საშუალებების ადეკვატურად გამოყენება (მაგ., ჟესტიკულაცია, ინტერვალი საუბარში, ხმის ტემბრის ცვალებადობა).

მართლწერა

• საკავშირებელი სიტყვების სწორად გამოყენება;
• ძირითადი სასვენი ნიშნების (წერტილი, კითხვისა და ძახილის ნიშნები) სწორად გამოყენება;
• პროფესიული ლექსიკის სათანადოდ გამოყენება;
• წერისას ტიპობრივი სტილისტური ხარვეზების აღმოფხვრა;
• არ უნდა იქნეს გამოყენებული ენისთვის არაბუნებრივი შესიტყვებები და ლექსიკა - ბარბარიზმები, ჟარგონები;
• ინფორმაციის გადმოცემა თანამიმდევრულად, გასაგებად, შესასრულებელი აქტივობის შესაბამისად.

12. **კვალიფიკაციის მინიჭება**

კვალიფიკაციის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები: 90 კრედიტი - ქართულენოვანი სტუდენტებისათვის; 120 კრედიტი - არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ინტეგრირებული მოდულების გავლის შემთხვევაში 113 კრედიტი - ქართულენოვანი სტუდენტებისათვის; 143 კრედიტი - არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის. პროფესიულმა სტუდენტმა კვალიფიკაციის მინიჭებისთვის უნდა ჩააბაროს საკვალიფიკაციო გამოცდა.

13. **სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის**

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მე-12 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

14. **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება**

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის - ლოკომოტივის მართვა- Locomotive Driving (სარეგისტრაციო ნომერი - 10.10.1) მიხედვით.

## 15. პროფესიული პროგრამის განხორციელების ადგილი

პროგრამა განხორციელდება სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯისა და სს საქართველოს რკინიგზის ბაზაზე.

პროგრამას თან ერთვის დანართები :

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (ძირითადი დოკუმენტი);
- ადაპტირებული მოდულები;
- სასწავლო გეგმები, მათ შორის ინტეგრირებული (ქართული ენის მოდულებით და მის გარეშე);
- პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი;
- პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსი;
- პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- არაინტეგრირებული და ინტეგრირებული პროგრამების ბიუჯეტები.

პროგრამის ხელმძღვანელი — ავთანდილ მარჯანიშვილი

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი — შოთა მარგიშვილი

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის დირექტორი — მანანა მოისწრაფიშვილი